ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1572422

ნომერი: AR1261169

თარიღი : 27.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , - ის მიმდებარედ (ნაკვ. 01/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1261169 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.10.06.001.165) მისასვლელი გზის მოწყობასთნ დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ საპროექტო გზის ვარიანტი კვეთს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი #01.10.08.006.080). არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მისასვლელი, სამანქანო გზის განხილვა პროექტის შეთანხმების სტადიაზე, შემანელებელი და ამაჩქარებელი ნიშნების გათვალისწინებით და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ესკიზი/ფოტომონტაჟი უმაშტაბოა, რომლის მიხედვითაც ვერ განხორციელდება მანქანის მანევრირება. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge